ჩვენ უნდა ჩვენი ფეშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 184 (20930) — პარასკევი, 10 აგვისტო, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

„ბახტრიონის“ კონტურები იკვეთება



ღრმავდება კონტაქტები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ხელმძღვანელებს შორის

დღეს სულ უფრო არსებითს, მნიშვნელობას იძენს და ფართოვდება უშუალო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვაგვარი საქმიანი ურთიერთობანი სხვა რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით კი სომხეთთან და აზერბაიჯანთან, რადგან ამიერკავკასიის რეგიონში ახლაც და მომავალშიც საკმაოდ ბევრი ისეთი საკითხია გადასაწყვეტი, რომლებიც სამივე რესპუბლიკის ინტერესებს შეეხება და ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

ასეთი კონკრეტული კონტაქტების შემდგომი გაღრმავებისა და ამ საქმიანობაში უფრო მეტი კონსტრუქციულობის მიღწევის მიზნით ამ დღეებში საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე ტელეფონით ესაუბრა აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტს, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ყაიაზ მუტალიბოვს, სომხეთის ახლად არჩეულ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ლევონ ტერ-პეტროსიანსა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვლადიმერ მოვსისიანს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელებმა მოისურვეს საქართველოს ხელმძღვანელობასთან პირადი შეხვედრები და საქმიანი ურთიერთობის გაფართოება. პირველი ასეთი შეხვედრა თბილისში გაიმართება.

(საინფორმი).

კოსმონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ

საღამოს ცნობა

1990 წლის 9 აგვისტოს, 11 საათსა და 35 წუთზე, „მირ“ პილოტირებულ კომპლექსში გამოკვლევათა და ექსპერიმენტთა პროგრამის მორიგი ეტაპის დამთავრების შემდეგ კოსმონავტები **ანატოლი სოლოვიოვი და ალექსანდრე ბალანდინი** დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„სოიუზ ტმ-9“ ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა გათვალისწინებულ რაიონში — 72 კილომეტრზე ქალაქ არქალიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ეკიპაჟმა ჩამოიტანა 130 კილოგრამი ტვირთი განხორციელებული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების მასალებით. მუშაობას ორბიტაზე განაგრძობენ **გენადი მანაკოვი და გენადი სტრეკალოვი.**

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და მასალების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სირთულისა, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები წინ მიიწევენ. გრძელდება სადგურ „ბახტრიონისა“ და მისი გადასარბენი გვირაბის მშენებლობა. უკვე მოსაპირკეთებელი და ზოგიერთი სხვა სახეობის სამუშაოები სრულდება. კეთილსინდისიერად აკეთებენ თავიანთ საქმეს ბრიგადები, რომელსაც თენგიზ ბობოხიძე და ვასილ პეტრიაშვილი ხელმძღვანელობენ. „ბახტრიონი“ მგზავრებს მომავალი წლის დამლევისათვის მიიღებს.

სურათებზე: მალხაზ აბაკელიამ (მარცხნიდან), თენგიზ ბობოხიძემ და ნიკოლოზ ჭიკაძემ უკვე დაამთავრეს სადგურის სავენტილაციო საკანის მონტაჟი; მატარებლების გადასარბენი გვირაბიც მზადაა ლიანდაგის დასაგებად.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

სოციალური სფერო

განვითარებული სოციალური სფერო ცივილიზებულობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. ადრე ჩვენ არც ვიცოდით, რას ნიშნავს ნამდვილი მომსახურება და ვურიგდებოდით, რასაც გვთავაზობდნენ. არა, ამაზე უარს არც დღეს ვამბობთ. მეტი რა ჩარაა, მაგრამ ის მაინც გავიგეთ, როგორ გვემსახურებიან და რა დონეზე ვართ ამ მხრივ. ახლა, როცა საზღვარგარეთ მოგზაურობა ჩვეულებრივ ამბად იქცა, სიტუაცია შეიცვალა. ევროპის თუ სხვა კონტინენტების ქვეყნებიდან დაბრუნებული კაცი აღტაცებულია იქაური სერვისით და გული სტკივა ჩვენში არსებული მომსახურების მდგომარეობის გამო.

რა ხდება? უმაღლესი კლასის მომსახურების ობიექტები არა გვაქვს, მათი დიდი ნაკლებობაა, მაგრამ რატომ გახდა დეფიციტი ამ სფეროში გულისხმიერება, მომხმარებლის თავაზიანი მიღება და გასტუმრება, სხვა ნეგატიურ მოვლენებზე რომ არაფერი ვთქვათ, რატომ ვაწყდებით ყოველ ნაბიჯზე გულგრილობასა და უხეშობას? მართალია, ბოლო ხანს არცთუ ცოტა გარეგნულად კარგად მოწყობილი სახელმწიფო და კოოპერაციული მომსახურების ორგანიზაცია შეიქმნა, მაგრამ მათში მაინც არა და არ იგრძნობა ის „პეწი“, რომელიც განსაკუთრებით სწორედ ამ სფეროს სჭირდება. ვერ შეიწყალა ჯერჯერობით ჩვენში ერთმანეთს კულტურისა და მომსახურების ცხებები.

გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, რომ აღმოიფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის, ქეთილ სურვილად რჩება. ცხადია, არის მნიშვნელოვანი რეზერვები მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის გასაზრდელად, მაგრამ აქ საჭიროა სხვაგვარი მიდგომა, სხვა მასშტაბები, ზრდის გაცილებით სწრაფი ტემპი. მოსახლეობის მომსახურების სფერო ის უდიდესი ასპარეზია, რომელზეც გააზრებული მოქმედება გვმართებს. დრო ამ სფეროს, მისი ფართო თვალსაზრისით, სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, განაწილებითი ურთიერთობის ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში.

საროგორამო დოკუმენტებით დასახულია ამოცანა მოკლე ვადაში შეკვმნათ თანამედროვე, დიდად განვითარებული მომსახურების სფერო, მაგრამ ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს, უწყების, სამინისტროს, საწარმოსა და საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი ცვლაგინდებურად ჯეროვნად არ აფასებს ამ სფეროს დაჩქარებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. ხუთუ დღესაც საჭირო უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ მოსახლეობის მომსახურების სწრაფი განვითარება საარსებოდ აუცილებელია. ამ თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხის მოთხოვნილების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას მომსახურებით, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის კულტურულ, ფიზიკურ სრულყოფას, მისი ჯანმრთელობის გაკაჟებას. სამწუხაროდ, გბრდაჭნა ამ უმნიშვნელოვანეს სა და უკონტროლობის შედეგად აქ განაწილების სულ სხვაგვარი მეთოდები იყო ფეხმოკიდებული, აკლდათ და ახლაც აკლიათ კვალიფიციური, საქმის ნამდვილი მცოდნე კადრები, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტები.

დიახ, მომსახურება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა, ქვეყნის კულტურის დონის ერთ-ერთი გამომხატველია, და ამიტომ ეს საკითხი ყველას ეხება. იმ სამინისტროებიდან, უწყებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებსაც ამ მხრივ კონკრეტული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი, წლის პირველი ნახევრის დავალება ბევრმა ვერ შეასრულა. ამ პერიოდში რეალიზებულია 467,2 მილიონი მანეთის ფასიანი მომსახურება, რაც წარმანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 0,4 პროცენტით მეტია, მაგრამ გეგმა მიზანშეწონილი მათი ერთ დიდ სამინისტროდ გადაქცევა?

მრავალი წლის განმავლობაში ჩამორჩენილი საყოფაცხოვრებო მომსახურება მოიგების ამით რამეს? გაერთიანების შექმნამდე თითოეულს ამ სამინისტროებიდან ისედაც უამრავი სამუშაო ჰქონდა. სხვებისაგან განსხვავებით, სწორედ ეს დარგები უნდა განვითარებულიყო დამოუკიდებლად, თითოეული მათგანის ღრმად გააზრებული სპეციალიზაციით, თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობის შესყიდვით, მოსახლეობის არნახულად მზარდი მოთხოვნების შესაბამისად. სამინისტროების გაერთიანების კვალობაზე გაწეული ეკონომია არაფერი არ გამოჩნდება იმ მოგებასთან შედარებით, რომელიც კარგად განვითარებულ და ორგანიზებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს შეუძლია მოგვცეს.

მომსახურების სფეროს ერთ-ერთი დიდი შემადგენელი ნაწილია ყველა სახეობისა და მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტი. ამ დარგში შექმნილი რთული ვითარება ყველამ იცის და, ალბათ, არავის გაუკვირდება ის, რომ მგზავრთა ბრუნვის მოცულობა, ხუთი თვის მონაცემებით, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 24 პროცენტით შესრულდა. ცხადია, თუ გაუარესება არა, მდგომარეობის გაუმჯობესება ამ მხრივ ნახევარი წლისა და, მით უმეტეს, შვიდი თვის მაჩვენებლების მიხედვით მოსალოდნელი არ არის.

რა მომსახურებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მარტო წლის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის რკინიგზაზე 1833-მა სამგზავრო მატარებელმა, ანუ მათი რაოდენობის თითქმის 26 პროცენტმა დაიგვიანა. აქედან ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაწლაგებული რკინიგზის წილად, შესაბამისად, 1339 მატარებელი და 22,5 პროცენტი მოდის.

როცა მდგომარეობის გაუარესებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს სამტრედიის საკვანძო სადგურის შეფერხებები, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში ათობით შემადგენლობა ელოდა დანიშნულებით წასვლის ჯერს.

მართალია, ავტობუსებითა და მსუბუქი ტაქსებით მგზავრების გადაყვანით 99,2 მილიონი მანეთი, ე. ი. 0,7 პროცენტით მეტი თანხა შემოვიდა, თუმცა, ეს მაჩვენებელი მაინც ჩამორჩება შარშანდელ დონეს. რკინიგზის ტრანსპორტთან შედარებით ავტობუსები იშვიათად, მაგრამ მაინც არღვევენ ხოლმე მოძრაობის გრაფიკს.

მომსახურების დავალების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს მარტო ფულით ვერ განსაზღვრავ. საქმისადმი დაუდევარი, გულგრილი დამოკიდებულება დაკავშირებულია პოლიტიკურ, ზნეობრივ, ეთიკურ ასპექტებთან და ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ. მომსახურების სფეროსადმი ზერელე მიდგომა მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, უნდა მოეკითხოს ყველას, ვისაც თვითდინებაზე აქვს ეს საქმე მიშვებული.

ვასავლელი გვაქვს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო გარდამავალი პერიოდი. ბაზარი ეკონომიკის ის განსაკუთრებული სფეროა, სადაც ადამიანები ფულის საშუალებით ერთმანეთში თავიანთი შრომის ნაყოფს ცვლიან. ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ შემოსავლის მატება არ უნდა უსწრებდეს საბალხო მოხმარების საგნების გამოშვებისა და ფასიანი მომსახურების ზრდას.

დიახ, არ უნდა უსწრებდეს, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ზემოთქმულიდან დავრწმუნდით, მდგომარეობა სახარბიელო ვერ არის. საქმე ეხება იმას, რომ პირველად მრავალი ათწლეულის მანძილზე იქცა საზოგადოებრივი წარმოების ამსოლუტურმა რაოდენობამ, მისმა ეფექტიანობამ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ერთდროული და სწრაფი ზრდის პირობებში. ეს ცხადია, მომსახურების სფეროსაც ეხება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავრობისეულ კონცეფციაში ნათქვამია, რომ ბინის ქირის გარდა, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ტარიფები 70 პროცენტით, ხოლო საავიაციო და რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანისა — 50 პროცენტით გაიზრდება.

ამიტომ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ მკვეთრად გავუმჯობესოთ მომსახურების სფეროში არსებული მდგომარეობა და ამით ოდნავ მაინც შევავლოთ ფასების ზრდასთან დაკავშირებული რთული სიტუაცია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბაზრო ურთიერთობა ამ დარგშიც დაამყარებს წესრიგს.

ზოთა ამაშუკელი.

სერვისი სურვილად რჩება

ამ სფეროში გულისხმიერება, მომხმარებლის თავაზიანი მიღება და გასტუმრება, სხვა ნეგატიურ მოვლენებზე რომ არაფერი ვთქვათ, რატომ ვაწყდებით ყოველ ნაბიჯზე გულგრილობასა და უხეშობას? მართალია, ბოლო ხანს არცთუ ცოტა გარეგნულად კარგად მოწყობილი სახელმწიფო და კოოპერაციული მომსახურების ორგანიზაცია შეიქმნა, მაგრამ მათში მაინც არა და არ იგრძნობა ის „პეწი“, რომელიც განსაკუთრებით სწორედ ამ სფეროს სჭირდება. ვერ შეიწყალა ჯერჯერობით ჩვენში ერთმანეთს კულტურისა და მომსახურების ცხებები.

გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, რომ აღმოიფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის, ქეთილ სურვილად რჩება. ცხადია, არის მნიშვნელოვანი რეზერვები მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის გასაზრდელად, მაგრამ აქ საჭიროა სხვაგვარი მიდგომა, სხვა მასშტაბები, ზრდის გაცილებით სწრაფი ტემპი. მოსახლეობის მომსახურების სფერო ის უდიდესი ასპარეზია, რომელზეც გააზრებული მოქმედება გვმართებს. დრო ამ სფეროს, მისი ფართო თვალსაზრისით, სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, განაწილებითი ურთიერთობის ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში.

საროგორამო დოკუმენტებით დასახულია ამოცანა მოკლე ვადაში შეკვმნათ თანამედროვე, დიდად განვითარებული მომსახურების სფერო, მაგრამ ბევრი ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს, უწყების, სამინისტროს, საწარმოსა და საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი ცვლაგინდებურად ჯეროვნად არ აფასებს ამ სფეროს დაჩქარებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. ხუთუ დღესაც საჭირო უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ მოსახლეობის მომსახურების სწრაფი განვითარება საარსებოდ აუცილებელია. ამ თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხის მოთხოვნილების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას მომსახურებით, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის კულტურულ, ფიზიკურ სრულყოფას, მისი ჯანმრთელობის გაკაჟებას. სამწუხაროდ, გბრდაჭნა ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ბალანსი, ბოლო ხანს, ეტაპობრივ, ოდნავ, ოდნავ, ოდნავ

რომელ კანონპროექტს ვამჯობინებთ?

საქართველოს მოსახლეობა დიდი ინტერესით ეცნობა პრესაში გამოქვეყნებულ კანონპროექტებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. 17 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია განიხილავს ამ კანონპროექტებს და იტყვის საბოლოო სიტყვას. „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის კანონმდებლობის განყოფილების კმამგეს, რესპუბლიკის იურისტთა კავშირის საკანონმდებლო წინადადებების მომზადების სექციის ხელმძღვანელს **ალექსანდრე შუშანაშვილს.**

— თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით, ალბათ, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ აღნიშნული კანონპროექტების მომზადებაში და გარკვეული პოზიციაც გექნებოდა ჩამოყალიბებული.

— სიმართლე თუ გინდათ, მაინცდამაინც აქტიური მონაწილეობა არ მქონია. ერთხელ მიმიწვიეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში გამართულ თათბირზე, სადაც ძირითადად გადწყვდა ამ კანონპროექტების გამოქვეყნების საკითხი, რაც თურმე დაკავშირებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის კვანძის ბლოკირების მოხსნასთან. თათბირზე პროექტები არსებითად თითქმის არ განხილულა. რამდენიმე არაარსებითი ხასიათის სამართლებრივი საკითხი წამოიჭრა და სპეციალისტის პოზიციიდან მომიწია ორიოდე სიტყვის თქმა. ეს იყო და ეს.

— პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ხომ გაეცანით კანონპროექტებს, როგორია თქვენი შთაბეჭდილება ზოგადად მაინც?

— აი, ეს ზოგადი შთაბეჭდილებებია რომ გვლუპავს. კანონპროექტის შესახებ შთაბეჭდილება ზოგადი კი არ უნდა იყოს, არამედ ზედმიწევნით კონკრეტული და ნათელი. ზოგადი შთაბეჭდილება კი ის გახლავთ, რომ ერთ საკითხზე ერთდროულად სამი კანონპროექტის გამოქვეყნება მთლად ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. თანაც, ერთ-ერთი კანონპროექტის მომხრეები აკეთებენ ოფიციალურ განცხადებას, რომ უზენაესი საბჭოს სესია თუ სასწრაფოდ არ იქნება მოწვეული და მათ მიერ მოწონებული ვარიანტი მიღებული, საქართველოში მოხდება ვითარების დესტაბილიზაცია და შედეგების პასუხისმგებლობა ოფიციალურ ხელისუფლებას დაეკისრებაო. ასეთი წესით კანონების მიღება არ ხდება და არც უნდა ხდებოდეს. სადაც ასეთი მეთოდებია, კანონი და სამართალი სულ არაა საჭირო, მათ ადგილს იკავებს ძალმომრეობა, „მუშტის სამართალი“. ასეთი ზემოქმედებისა და უკიდურესი აუცილებლობის პირობებში მიღებული კანონი არ გამოხატავს ხალხის სახელმწიფოებრივ ნებას. საკანონმდებლო ორგანო თავის ფუნქციებს უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებლად, ყოველგვარი დაწოლისა და ზემოქმედების გარეშე. ესეც არ იყოს, რა დაშავა ქართველმა ხალხმა, რომ საშუალებას არ ვაძლევთ მშვიდ და თავისუფალ ატმოსფეროში გაეცნოს, თავისი აზრი და დამოკიდებულება გამოთქვას იმ სამართლებრივი მექანიზმის მიმართ, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მისი სვებედის განმგებელი ორგანოს არჩევა. მრავალი წლის მანძილზე მიხდება კანონპროექტებზე მუშაობა, მაგრამ, ალბათ, ორი-სამი თვე მაინც დამჭირდება იმისათვის, რომ გამოქვეყნებული კანონპროექტების ყველა დეტალი და ნიუანსი გავარკვიო, შევადარო სხვა ქვეყნების კანონმდებლობას, მოვუნახო სამართლებრივი დასაბუთება, მოვახდინო მათი პრაქტიკული განხორციელების სოციალური შედეგების პროგნოზირება, გავიგო საზოგადოებრიობის აზრი.

— მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, ხანგრძლივ ფიქრსა და განსჯას ვინ დაგვაცლის. ოფიციალური ხელისუფლება როცა აუოვნებს, რა ქნას ეროვნულმა მოძრაობამ, როგორ დაიჭაროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, სხვა ეროვნული პრობლემების მოგვარება?

— თქვენ გგონიათ კანონების ნაჩქარევად და მოუფიქრებლად მიღება უშველის საქმეს? პირიქით, ეს უფრო გაართულებს და გაამწვავებს ვითარებას, წარმოშობს ახალ პრობლემებს, მეტ საზრუნავსა და თავსატეხს გაგვიჩენს. საზოგადოებას იაფი იუსტიცია და ზერელე სამართალშემოქმედება ძალიან ძვირი უჯდება.

ოფიციალური ხელისუფლება თუ ფეხს არ უწყობს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, იგი უნდა გადადგეს. თუ პერსონალურად ვინმესთან რაიმე პრეტენზია გვაქვს, ესეც უნდა ითქვას და გაირკვეს. თუ არა და ოფიციალურ ხელისუფლებას უნდა ვუჯერებდეთ და მივყვებოდეთ, ნდობითა და პატივისცემით ვეპყრობოდეთ, ყოველ შემთხვევაში, შეურაცხყოფას არ უნდა ვაყენებდეთ, ყოველ მიტინგზე კრემლის აგენტებსა და მარიონეტებს არ უნდა ვეძახდეთ. პოლიტიკური მოძრაობა მხოლოდ მაშინ იქნება ეროვნული, როცა ოფიციალური და არაოფიციალური ძალები მუქარის, მოტყუების, შანტაჟისა და ულტიმატუმების პრინციპებზე კი არ ააგებენ თავიანთ ურთიერთობას, არამედ სრული ნდობით და თანადგომით იბრძოლებენ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, გაერთიანებული იქნებიან ერთი იდეით. საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის ამ ერთი წლის მანძილზე ცოტა რამ არ გაკეთდა და ამასაც დანახავ და დაფასებენ უნდა. არავის არ ჩამოვერჩენილვართ და თვალს ნუ გვჭრიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციები თუ რეზოლუციები. ასეთი მოჩვენებითი, ქაღალდზე დახატული დამოუკიდებლობა მოკავშირე რესპუბლიკებს დიდი ხანია მოპოვებულიცა აქვთ და მინიჭებულიც. სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უფრო სოლიდურ, ყოველმხრივ კეთილ და გაანგარიშებულ ნაბიჯებს მოითხოვს, მეტადრე ჩვენგან, ურთულეს კონტექსტში მცხოვრები ქართველი ერისაგან...

— გამოქვეყნებული კანონპროექტებიდან მაინც რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?

— ჩემი მარჩიელობა აქ დიდს არაფერს ნიშნავს. პოეტისა არ იყოს, „რომელი მეფე ერეკოს მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისა!“ მაგრამ რაკი ამგვარი ფიქრიც ოლატია, გეტყვით, რომ უპირატესობას ვანიჭებ იმ კანონს, რომელიც საქართველოს სისხლისა და ცრემლის გარეშე დააყენებს ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე. მიმაჩნია, რომ ამჟამად ტვინის ჭყლეტა და ელოსიპედის ჭამოგონება არაა საჭირო. მოქმედი კანონმდებლობა, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, ყველა საშუალებას იძლევა უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ ყოველმხრივ კომპეტენტური, ღირსეული, პრინციპული, საქართველოსათვის თავდადებული ადამიანები. ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც მივიღეთ კანონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე არჩევნებიც არის დანიშნული და დეპუტატობის კანდიდატებსაც ვაკვლილი აქვთ რეგისტრაცია. თუ ვინმე ღირსეული გამოგვრჩა და, ალბათ, გამოგვრჩა, დავასახელოთ და დავთანხმდით ისინიც და ჩავტაროთ ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე. რასაკვირველია, არსებული კანონმდებლობაც საჭიროებს განვითარებასა და სრულყოფას, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

— თუ არ ვცდებით, იმ კანონის საფუძველზე თქვენც ხართ დასახელებული დეპუტატობის კანდიდატად...

— გგონიათ, ეს მაწუხებს? ოღონდ არჩევნები ჩატარდეს ეშვიდობიანად, დღესვე ვხსნი ჩემს კანდიდატურას. საოლქო საარჩევნო კომისიას ვთხოვ ეს განცხადება ოფიციალურად მიიჩნიოს. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით ისედაც მივიღებ მონაწილეობას კანონპროექტების მომზადებაში. დეპუტატობასთან დაკავშირებული კომფორტი და ზიზილ-პიპილოები კი არც ისე მომხიბლავია, ზოგს რომ წარმოუდგენია. საკანონმდებლო ნოვაციების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის ვარიანტი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიუღიათ „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანებულ პარტიებსა და ორგანიზაციებს.

— მაინც, რამ მიიქცია ამ ვარიანტიდან თქვენი ყურადღება?

— რად ღირს თუნდაც ის, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ენა. საქართველოს ყველაზე საამედო ფარი და მახვილი ქართული ენაა, მას უნდა განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრება და გაბატონება. საქართველოში მცხოვრები ქართულის მცოდნე არაქართველი სხვანაირად უყურებს საქართველოს, მის პრობლემებსა და სატკივარს. მოსაწონია პროექტის პოზიცია იმის შესახებ, რომ აქტიურ საარჩევნო უფლებას საქართველოს მოქალაქე იძენდეს 23 წლის ასაკიდან და არა 21 წლიდან, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. მე რომ მკითხონ, ამ ასაკს ორი წლით კიდევ გავზრდიდი. უზენაესი საბჭოს წევრს, ყველა სხვა სასურველ თვისებებთან ერთად, ცხოვრებისეული გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს.

— იქნებ ბრძანოთ, პროექტის ამ ვარიანტში რა არ მოგეწონთ?

— მგონი, ამ პროექტებს ჩემზე ნაკლებად არ იცნობთ და მითხარით კონკრეტულად რა საკითხი გაინტერესებთ.

— მაგალითად, რას იტყვით პროპორციული არჩევნების შესახებ. ეს, ალბათ, პროექტის ყველაზე არსებითი სიახლეა.

— პროპორციული არჩევნების სისტემა ჩვენთვის არაა უცნო ხილი. 1919 წელს სწორედ ამ სისტემით ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, მაგრამ მისი დემოკრატიულობით დიდად არავინ აღფრთოვანებულა. პროპორციული არჩევნების დროს ამომრჩევლები დეპუტატებს არჩევენ არა უშუალოდ, არამედ საარჩევნო სიებით, რომელთა შედგენის წესსა და პერსონალურ შემადგენლობას ამ სიების წარმომდგენი პარტიები განსაზღვრავენ. გასაგებია, რომ ამჟამად ჩვენთან მოქმედ არჩევნების მაჟორიტარულ სისტემასთან შედარებით, რომლის დროსაც ამომრჩევლები დეპუტატებს პირდაპირ და უშუალოდ არჩევენ, პროპორციული სისტემა ნაკლებ დემოკრატიულია. საერთოდ, არჩევნების პროპორციულმა სისტემამ, ჩემი აზრით, თავისი დრო მოჭამა და მას იშვიათად იყენებენ. ეს სისტემა შემორჩა ძირითადად იმ სახელმწიფოებს, სადაც პოლიტიკური პარტიების არსებობის ხანგრძლივი ტრადიციაა, სადაც რამდენიმე პოლიტიკური პარტიაა, რომელთაც დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვთ საზოგადოებაში. საქართველოში, სადაც ასზე მეტი პარტია და ბევრი მათგანის წესდება და ჩევნების ჩასატარებლად და მისი ეტაპობრივი შექმნა და მისთვის პარტიების რეგისტრაციის დაკისრება არ უნდა იყოს გამართლებული. კომისიამ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ოფიციალურად რეგისტრირებული პარტიების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სიები. პოლიტიკური პარტია, მისი წესდება და პროგრამა არჩევნებამდე უნდა იყოს რეგისტრირებული. სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იღებდეს მონაწილეობას თუ იგი რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით, თუ იგი აღიარებს და ემორჩილება ამ პასუხმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებს. კიდევ ვიმეორებ, ყველა ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება.

— რა კომენტარს გაუკეთებდით კანონპროექტის იმ დებულებას, რომლის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს ისეთი პარტიები, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პარტიების სტრუქტურულ ელემენტს რომ წარმოადგენენ.

— აშკარაა, რომ აქ იგულისხმება საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც არის სკკპ შემადგენელი ნაწილი, მისი სტრუქტურული ელემენტი. აშკარაა ისიც, რომ არსებული ფედერაციისა და სკკპ ფაქტობრივი მდგომარეობის პირობებში საქართველოს კომპარტიის სრული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა არც მოხდება და არც არის სასურველი. სკკპ შემადგენლობიდან საქართველოს კომპარტიის გამოყოფა გააჩენს პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ პლატფორმაზე, გაამრავლებს და გაღრმავებს ეთნოკრიზისს, ხელს შეუშლის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. საერთოდ, იქნებ გადაიხედოს კომპარტიისადმი დამოკიდებულება. საქართველოში ამჟამად 400 ათასზე მეტი კომპარტიის წევრია. არსებითად ეს ეს არის მთელი საქართველო. ძნელად მოიძებნება ოჯახი, რომლის წევრი ან ახლობელი არ იყოს კომპარტიის წევრი. კომპარტიის კანონგარეშე გამოცხადება და არჩევნებში მისი მონაწილეობის აკრძალვა ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ არჩევნები არ ჩატარდება. გაუგებარია, რატომ ვედავებით დღევანდელ კომუნისტებს საქართველოს ანექსიის ან რეპრესიის წლების ბოროტმოქმედებებისათვის. მთელ ცივილიზებულ სამყაროში მოქმედებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. ადამიანს სამართლებრივი, პარტიული, ზნეობრივი თუ ყველა სხვაგვარი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც მან ჩადინა პირადად, რაშიც უშუალოდ მას მიუძღვის ბრალი. კათოლიკურ ეკლესიას თავისი ისტორიის მანძილზე უამრავი სისაძაგლე აქვს ჩადენილი, მაგრამ ვის მოუვა აზრად დღევანდელ კათოლიკეებს ამისათვის რაიმე პასუხი მოსთხოვოს.

— დაბოლოს, ერთი საკითხიც. პროექტის თანახმად, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი. რას ნიშნავს ეს დებულება?

— ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოში ვერ აირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მონაწილეობას ვერ მიიღებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უზენაესი საბჭოს სექმიანობაში. თვითონ განსაჯეთ რამდენად სწორი და მიზანშეწონილია დღევანდელ პირობებში ასეთი პოზიცია.

ვუბრუნდებით დაგეპჭდილს

ხარისხი არ გაუმჯობესებულა...

ლია ფერილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 16 ივნისის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულმა წერილმა „სიახლე: დამფასოებელი საამქროები“ — მარტვილის რაიონში სეზონს მომზადებულნი შეხვდნენ, ჩვენი გაკვირვება და აღშფოთება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით მოგმართავთ ღია წერილით:

არავისთვის არ არის ახალი, რომ ჩაის ნედლეულის უქონლობის გამო მოცდენილია ვალუტაზე შეძენილი ბაიხის ჩაის დამფასოებელი ავტომატები. მესამე თვეა უმოქმედოდ დგას დამფასოებელი ავტომატები თანამედროვე დონეზე აღჭურვილ ზუგდიდის ჩაის საწონ ფაბრიკაში. სანახევროდ მუშაობენ ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა და სამტრედიის კომბინატი, მოცდენილია სამგრამიანი შეფუთვის ავტომატები ნედლეულის უქონლობის გამო ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშში“-ც.

არა ერთხელ გაისმა ამ საკითხზე საგაზეთო ზარები. თვით გაზეთ „კომუნისტის“ ა. წ. 18 თებერვლის ნომრის პირველ გვერდზე „ახლა თქმა სჯობს უთქმელობას“ **(რ. ხ.),** სადაც აღნიშნული იყო: „ეკონომია ეკონომიური უნდა იყოს, მაშ რითი ავხსნათ, რომ ერთი ტონა ჩაის ხელით შეფუთვა 100-120 მანეთი ღირს, მაშინ, როცა იმავე ოპერაციის ხარჯი სანიტარიული და ტექნოლოგიური ნორმების დაცვით 25 მანეთს არ აღემატება ავტომატიზებულ ჩაის საწონ-ფაბრიკებში?“.

მაშინ რატომ ვაწარმოებთ ჩაის ხელით შეფუთვას ყველა სოფელში საბჭოთა მეურნეობაში თუ მიკროფაბრიკაში? თითქმის ყველა ხის ძირას, მაშინ რატომ ვაშენებთ ახალ ჩაის საწონ ფაბრიკებს რესპუბლიკაში და სხვაგან? მაშინ რატომ ვიქმნთ ვალუტას შემფუთავი ავტომატების შესაძენად?

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო რესპუბლიკაში ფაქტობრივად არ შემოვა ცენტრალიზებულად დაგეგმილი იმპორტული ჩაის ნედლეული, ხოლო 1991 წლიდან სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით კატეგორიული უარი ითქვა სამამულო ჩაიზე იმპორტულის დამატების თაობაზე. მაშრა ვქნათ, რას ვეუბნებით ერს, ხვალინდელ დამოუკიდებლობას, რესპუბლიკის სუვერენიტეტს, როგორ გავაყიდოთ დაგეგმილი მოცულობის დაფასოებული ჩაი? რა! მარტვილში და საერთოდ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხი? პირიქით. გასულ და მიმდინარე წელს სასტიკად დაეცა ქართული ჩაის ხარისხი, რომ არა იმპორტული ჩაი (70-80%), ჩვენი პროდუქცია თითქმის მთლიანად უკან დაუბრუნდებოდა ჩაის ფაბრიკებს. წელს კი იმდენად უხეშია ჩაის ფოთოლი, რომ მისგან მიღებული პროდუქცია ფუთულებში არ ეტევა. ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშში“ 50 გრამიან ფუთულში ჩადის 40, ხოლო სამტრედიაში— 100 გრამიან ფუთულში ჩადის 70-75 გრამი. ფოთლის სიუხეშის გამო ჩაის მოცულობითი წონა დაეცა. დაეცა ტანინის და სხვა კეთილ ნივთიერებათა შემცველობაც. ნახევარფაბრიკატი 36-38%-მდე ჩაის ჯოხებს ეფიცავს, დანაგვიანებულია ბუსუსებით ე. წ. „მაღალი ხარისხის“ პროდუქციაც. მათ შორის სამტრედიაში ჩაბარებული მარტვილის ჩაის პროდუქციაც.

ეყო ვრა, საზოგადოებას გაუთავებელი დაპირებები ქართული ჩაის ხარისხის გაუჯობესებაზე. ხომ ხედავთ არ გაამართლა აგროკომბინატებმა და აგროფირმებმა, რომლებიც დიდი იმედის მომცემნი იყვნენ ხარისხის ნაწილში. ხომ ვრწმუნდებით ყველანი ჩაის ფოთლის კრეფის ყოველწლიური დავალების 450 ათასი ტონის არარეალობაში, რომელიც ე. წ. „პერესტროიკის“ დაგენილებაში მოხვდა. ხომ ყველანი ვზედავთ, როგორ დაუძლურდა ჩაის ბუჩქები. ისინი ვერ უძლებენ კლიმატის ოდნავ ცვლილებასაც კი. პლანტაციების უმეტესობას დასვენება სჭირდება, ე. წ. აგრონომიული მკურნალობა. დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ პლანტაციებს შეუძლიათ მოგვცენ თურქულ ჩაიზე ცოტათი უკეთესი იმ შემთხვევაში, თუ ჰექტარიდან საშუალოდ მოვკრეფთ 4-5 ტონას, ისიც ჯანსაღი პლანტაციებიდან. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და საერთოდ ჩაის ისეთი პროდუქციის მიღება, რომელიც რეალიზაციას დაექვემდებარება. მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ჩვენს ქვეყანაში პრივილეგიას მიიღებს იმპორტული ჩაი, რომელიც ამჟამად 300 ათას ტონამდე შემოდის, მათ შორის 70 ათასი — ლამაზად გაფორმებულ კოლოფებში. ასეთ პირობებში ვის სჭირდება ყველა საწარმოში დაფასოების პრიმიტიულად მოწყობა ან დამატებით მიკრო ჩაისფაბრიკების და საერთოდ ფაბრიკების მშენებლობა?

სოფლის მეურნეობა იძულებული შეიქმნება რეალურად დაუბრუნდეს ნაზი, სტანდარტული ჩაის დუყების კრეფას. ეს ასე დასჭირდება რესპუბლიკის ეკონომიკურ ინტერესებს მომავალში და თუ ეს ასე იქნება, ჩაის ფაბრიკების 40%-ზე მეტი უმოქმედოთ დაგვრჩება ნედლეულის უქონლობის გამო.

ასეთ მეტად რთულ ვითარებაში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული საგაზეთო წერილი „სიახლე: დამფასოებელი საამქროები“ პირდაპირ მახვილია ჩაის წარმოებაში არსებულ ისედაც კატასტროფული ვითარებისათვის. გაუგებარია, რატომ ჰქვია სიახლე დამფასოებელ საამქროებს? ან როგორ გავიგოთ წერილში აღნიშნული გამოთქმა — უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამომამუშავებელი ნაზის დანერგვა, ან მკრეფავებზე 1,5 მანეთის ანაზღაურების გაცემა ნაცვლად 60 კაპიკისა? ისიც არის ნათქვამი, რომ „ქართული ჩაი თავის ღირსებით ფიფქია“, რომელი ჩაი? რომელსაც მარტვილში და საერთოდ რესპუბლიკაში დღეს ამზადებენ? თავშეკავება ყველას გვჭირდება, მაგრამ არაკომპეტენტურობამ და აჩქარებამ პრესის მუშაკების მხრიდან შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ასჯერ გაზომილი და ერთხელ გაჭრილი აზრები უნდა მიიწოდოს პრესამ საზოგადოებას. მით უმეტეს ისეთმა გაზეთმა, „როგორიცაა „კომუნისტი“.

ჩაის საქმესთან თამაში არ დაიშვება მომავალშიც, რადგანაც იგი მთლიანად ერის სამსახურში უნდა ჩადგეს, ალბათ ჩაის უნდა შემოიტანოს გარკვეული რაოდენობით ის სასურველი ვალუტა, რომელიც ისე ეკვირდება, როგორც წყალი თევზს.

პატივისცემით

რევაზ ხოფერია,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი.

რედაქციისაგან: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის რევაზ ხოფერიას ღია წერილი უცვლელად იბეჭდება. აქვე ვაქვეყნებთ „კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტების პასუხს.

მართლაც თქმა სჯობს, არა თქმასა

ბატონო რევაზ! სიმართლე გითხრათ, კარგად ვერც აგიხსნია, რატომ გამოინვია თქვენი ასეთი გაკვირვება და აღშფოთება ჩვენმა საგაზეთო ინფორმაციამ — „სიახლე: დამფასოებელი საამქროები“.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დღეს ჩაის ნედლეულის მწარმოებელ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებს ბევრი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი (არასწორი ექსპლოატაციით ნაადრევად მობერებული პლანტაციების განახლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.), მაგრამ ჩვენ ხომ წერილში ეს პრობლემები არ წამოგვიჭრია, ჩვენი ამოცანა ერთობ მოკრძალებული და კონკრეტული იყო: გაგვეშუქებინა, თუ როგორ მოემზადნენ მარტვილის რაიონის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები ჩაის კრეფის სეზონისათვის და რა სიახლით გამოიხატა ეს სამზადისი. ამ ფონზე ჩვენ სიახლედ მივიჩნიეთ დამფასოებელი საამქროები, რომლებიც რაიონის ჩაის პირველადი დამუშავების საწარმოებთან იქმნებოდა.

ეს სიახლე ფაქტობრივად დაინერგა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პირველადი დამუშავების ფაბრიკების ინიციატივითა და მოთხოვნით. პროდუქციის ადგილზე დაფასოების საჭიროებას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ გაუმჯობესებდნენ ნედლეულისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, სეზონურის ნაცვლად იყოლიებდნენ მუდმივ მუშახელს, დაასაქმებდნენ სოფლის ახალგაზრდობას და, საბოლოო ანგარიშით მეტ მოგებასაც მიიღებდნენ.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტმაც დართო ამის ნება და თანაც დაპირდა, რომ გამოუყოფდა კუპაჟისთვის საჭირო იმპორტულ ნედლეულს. ეს მოხდა იმის გათვალისწინებით, რომ წლეულს საბოლოოდ შეწყდა ქართული ჩაის დაფასოება რესპუბლიკის გარეთ არსებულ საწარმოებში. თანაც იმთავითვე გაანგარიშებული იყო, რომ პროდუქციის ადგილებზე დაფასოებდნენ მხოლოდ იმ ოდენობით, რასაც რესპუბლიკაში არსებული დამფასოებელი საწარმოები ვერ აუვიდოდნენ.

ამ შეთანხმების საფუძველზე მარტვილის ჩაის პირველადი დამუშავების ფაბრიკებსა და საზოგადოებრივ მეურნეობათა მიკროფაბრიკებს სულ უნდა დაეფასოებინათ 4100 ტონა შავი და მწვანე ბაიხის ჩაი.

ან კი რა არის იმაში ცუდი, რომ თავის პროდუქციას საბოლოო სასაქონლო სახე თვით მისმა მომვყვან-დამამზადებელმა მეურნეობამ, საწარმომ მისცეს?! მით უმეტეს დღეს, როცა საზოგადოებრივი მეურნეობები და საწარმოები სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე არიან გადასული.

საერთოდ პროდუქციის ადგილზევე დაფასოება რომ სჯობს, ეს ხომ ჩვენი პირადი მოსაზრება არ არის, თქვენ ამ დარგის გამოჩენილ სპეციალისტს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართულ ჩაის შელახულ ღირსებას ისე ვერ დავუბრუნებთ, თუ საქმის ორგანიზაციული სტრუქტურა დაფუძნებული არ იქნება ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების ერთიან ციკლზე: პლანტაცია -— ფაბრიკა,— დაფასოება — მზა პროდუქცია.

გვსაყვედურობთ, თითქოს ჩვენ ვამტკიცებდეთ, ქართული ჩაი თავისი ღირსებით ინდურ ჩაისაც არ ჩამოუვარდებაო. (ნეტავი ამის მტკიცების საფუძველი მართლაც გვქონოდა! ასე რომ იყოს, ჩვენს ჩაში ინდურის გასაკეთილშობილებლად შერევაც საჭირო არ იქნებოდა). ჩვენ ეს არსად არ გვინერია, მაგრამ ქართული ჩაის ღირსებაზე ზრუნვა და მისი ხარისხის მსოფლიო სტანდარტების დონემდე ამაღლებაზე ოცნება ვინ აგიკრძალა?! აკი ჩვენს ნერილში ნაგვაზაოს კოლმეურნეობა-კომბინატის თავმჯდომარე ფრიდონ მიქავაც მხოლოდ ამას ამბობს: ბოლოს და ბოლოს, დროა რამე ვიღონოთ და დავამტკიცოთ, რომ ქართული ჩაი თავის ღირსებით ინდურ ჩაისაც არ ჩამოუვარდებაო.

ბატონო რევაზ, გეთანხმებით, რომ მდგომარეობა მართლაც მეტად სერიოზულია (თუ კატასტროფული არა, როგორც თქვენ მიგაჩნიათ): საქართველოს მეჩაიეებს, ამ დარგის სპეციალისტებს ბევრი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ, ბევრია სადაო და საჭოჭმანოც: როგორ, რა გზით დავუბრუნოთ ქართულ ჩაის დაკარგული ღირსება. ეს გზები ყველას სხვადასხვანაირად ესახება. რამდენადაც პრესაში თქვენი სხვადასხვა დროის გამოსვლები მოწმობენ, არც თქვენ გაქვთ მტკიცე და თანამიმდევრული პოზიცია ამ საქმეში. არცაა გასაკვირი — რთული ვითარებაა, რაც შეეხება ჩვენს კორესპონდენციას, ასეთი ინფორმაციული ხასიათის საგაზეთო წერილები ამიერიდან ვერ შექმნიან. მით უმეტეს, თქვენი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ვერავის მახვილს ვერ ჩასცემენ, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. ასეთი წერილების დაწერისათვის, არც დიდი კომპეტენტურობაა საჭირო (რის უქონლობასაც გვაბრალებთ). ამისათვის ნერა-კითხვის გამართულად ცოდნაც საკმარისია, მაგრამ ისეთი მეთოდით, რომლითაც თქვენ ჩვენს კორესპონდენციას აკრიტიკებთ (ამახინჯებთ აზრს, ახვაფურებთ ცალკეულ ფრაზებსა და წინადადებებს), შეგიძლიათ კაცს წერა-კითხვის უცოდინარობაც დასწამოთ.

ბორის ფოცხვერაშვილი, მიხეილ მიქაძე.

საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებლობის დეკლარაცია

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია, რომელიც **გამოხატავს** მასში შემავალ პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ შრომელთა ნებას, **ხელმძღვანელობს** რესპუბლიკის შრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის ეფექტიანი განხორციელების აუცილებლობით, **მიზნად ისახავს** საქართველოში სუვერენული პროფკავშირული მოძრაობის განვითარებას და

აცხადებს

სრულ დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური ორგანოსაგან, ნებისმიერი სახელმწიფო, სამეურნეო მართვის ორგანოებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია:

— მოქმედებს საქართველოს ფარგლებში და იცავს მასში მცხოვრები ხალხების ინტერესებს;

— წარმოადგენს კონფედერაციულ საწყისებზე აგებული საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირული მოძრაობის დამფუძნებელს და ორგანიზატორს;

— ცნობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მოქმედებს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობისა და საერთაშორისო-სამართლებრივი ფუძემდებლური ნორმების შესაბამისად.

— თავის უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს არჩევითი ორგანოების მეშვეობით საკუთარი წესდების საფუძველზე;

— თავის საქმიანობას აგებს თანასწორუფლებიანი ურთიერთბელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებზე, როგორც კონფედერაციის შიგნით, ასევე სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან;

— ისწრაფვის მსოფლიო პროკავშირული მოძრაობის მიერ მის სუვერენულ სუბიექტად ცნობისა და დამოუკიდებელი მონაწილეობისაკენ;

— გამოდის კონფედერაციაში გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციების წევრთა სახელით;

— თანაბარი უფლებების გარანტიას აძლევს მასში გაერთიანებულ პროფკავშირის წევრებს მათი ეროვნების, წარმომავლობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, სქესის, განათლების, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, დასაქმების ხასიათისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად;

— დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის ეკონომიკურ სტატუსს, სამანკო (საგარეო ეკონომიკურის ჩათვლით) სისტემას, აყალიბებს კონფედერაციის პროფკავშირულ ბიუჯეტს.

